

რეპრესიები საქართველოში

ტიციან ტაბიძის სახელობის ქ.თბილისის N43 საჯარო
სკოლის ისტორიის მასწავლებელი ნინო აბულაძე

გაკვეთილის თემა : რეპრესიები საქართველოში

კლასი : მეთორმეტე (შესაძლებელია მეცხრე კლასშიც)

საგანი : ისტორია

გაკვეთილის მიზანი :

საგაკვეთილო პროცესში მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- ისტორიული ეპოქის აღქმა და გაანალიზება, წინარე ცოდნის გააქტიურება;
- მსჯელობითა და ავთენტური დოკუმენტური მასალებზე დაყრდნობით სწორი დასკვნების გაკეთება;
- არგუმენტირებული მსჯელობა.

გაკვეთილზე მოსწავლეები განივითარებენ კვლევით უნარებს, შეძლებენ ინფორმაციის გაფილტვრას და კრიტიკულად შეაფასებენ საკითხზე საკუთარ წარმოდგენებს.

(ე.ს გ- **XII.3.** მოსწავლეს შეუძლია XX საუკუნეებში მმართველობით სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებების ანალიზი.**ისტ. XII.4.** მოსწავლეს შეუძლია პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევა.)

მედიაწიგნიერების მიზნებია:

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- სხვადასხვა მედიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება;
- მედიის მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში სხვადასხვა პერსპექტივისა და ხედვის იდენტიფიცირება, ანალიზი და განხილვა.

გაკვეთილის შედეგი

- მოსწავლეების მიერ სხვადასხვა ინფორმაციის სანდოობის ანალიზი და შეფასება, მედიაში გაშუქებული ამბის ტექნიკური ხერხების ანალიზი.

გაკვეთილზე - (ე.ს გ)

- ჯგუფური დისკუსიისას ისტორიულად სტალინის მმართველობით სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებების შესახებ მსჯელობა;
- ჯგუფური მუშაობისას სახელმწიფო მოწყობის სისტემების შედარება;
- თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გამოყოფა;
- უახლოესი პერიოდის ქართველი პოლიტიკური მოღვაწეების მიერ გადადგმული პოლიტიკური ნაბიჯების შესახებ მსჯელობა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

რეპრესიები-პოლიტიკური, ან სავარაუდო მოწინააღმდეგისადმი მიმართული უკანონო ზემოქმედება (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).

პროპაგანდა -ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევაზე ზემოქმედების მიზნით (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი).

გულაგი -(რუს. *Гулаг*) – აკრონიმი *Главное управление исправительно–трудовых лагерей и колоний*, შრომით-გამოსასწორებელი ბანაკების და კოლონიების მთავარი სამმართველო. გულაგის სახელით ცნობილია საბჭოთა სადამსჯელო სისტემის ნაწილი, სადაც პატიმრები სასჯელის მოხდასთან ერთად იძულებით ასრულებდნენ სხვადასხვა (როგორც წესი ფიზიკურ) სამუშაოს, ხშირად ძალიან ცუდ ან თითქმის გაუსაძლის პირობებში (ვიკიპედია).

ჩეკა - (რუს. ЧК — чрезвычайная комиссия) პირველი საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების სამსახური (ვიკიპედია).

შინსახკომი -შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (ვიკიპედია).

სასამართლო ტროიკა - სტალინის დროს შინსახკომში ერთხანს მოქმედებდა სწრაფი სასამართლო, ტროიკა, ანუ სამეული, რომელიც უცებ ასამართლებდა „ხალხის მტრებს“ ([აკა მორჩილაძე](http://www.bu.org.ge/x3517?page=4&tab=5))¹.

¹ <http://www.bu.org.ge/x3517?page=4&tab=5>

რეპრესიები საქართველოში

ნინო აბულაძე

რესურსები:

- კომპიუტერი, პროექტორი
- პლაკატები



- მასწავლებლის საკითხავი მასალა
-

მასწავლებლის საკითხავი მასალა

1. პოლიტიკური რეპრესიები საბჭოთა საქართველოში

1920-იან წლებში სტალინი ქვეყნის ერთადერთ ბელადად იქცა, მძლავრი იდეოლოგიური მანქანა ყოველგვარ „ბურჟუაზიულ გადმონაშთს“ ებრძოდა, სახელმწიფოებრიობის შემდეგი განმტკიცებისათვის სტალინმა ფართომასშტაბიანი რეპრესიები დაიწყო; რეპრესიებს შეეწირნენ ძველი თაობის ინტელექტუალები, რომელთა რეპრესირებამ ახალი სოციალური კლასის მხარდაჭერით და უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა საზოგადოების ერთი ნაწილის მეორეზე წაკიდებით საბჭოთა ხელისუფლება თავის სასარგებლო აბალანსებდა სოციალურ ძალებს;

ჩვენ გვახსოვს რეპრესიების პირველი ტალღა, რომელიც საქართველოში 1924 წლის აჯანყების ჩახშობის მერე დაიწყო, დასაჯეს აჯანყებულები, მათი ოჯახის წევრები, ეჭვმიტანილები, მეორე ტალღა- მასობრივი რეპრესიებისა იყო 1937-1938 წწ. გაკვეთილის თემა სწორედ მეორე ტალღას ეხება, რომელიც დაკავშირებულია ლავრენტი ბერიას სახელთან. იგი პოლიტიკურ რეპრესიებს მოსკოვში შემუშავებული მეთოდებით ანხორციელებდა. 1937-38 წ.წ-ში პერიოდში ხორციელდება ფართომასშტაბიანი რეპრესიები, მათ შორის ამ სამინელო პერიოდს ეწირებოდნენ ის ადამიანებიც, რომელთაც პოლიტიკასთან არაფერი აკავშირებდათ. რეპრესიები იყო ერთგვარი, ის პერმანენტულად მიმდინარეობდა

გაკვეთილი

აქტ. 1 მასწავლებელი ეპოქის უკეთ გასააზრებლად აჩვენებს მოსწავლეებს 30-იანი წლების ამსახველ ორ პლაკატს, სთხოვს შეადარონ ეს პლაკატები ქვემოთ მოყვანილი სქემის მიხედვით.

პლაკატი N1 „სტალინი - ბედნიერი ცხოვრების შუქურა“



პლაკატი N2 „სტალინი - ადამიანთა ბედის გამგებელი“



პლაკატი N1 „სტალინი - ბედნიერი ცხოვრების შუქურა“

კითხვა

რომელ ქვეყანაში და როდის შეიქმნა პლაკატი?

როგორ აფასებს პლაკატი სტალინს?

ვინ არის პლაკატის აუდიტორია?

რა მიზანს ემსახურება პლაკატი?

რა ხერხებს იყენებს ავტორი მიზნის მისაღწევად?

როგორი საზოგადოებრივი აზრის

სავარაუდო პასუხი

სსრკ, იქ სადაც სტალინს ბელადად მიიჩნევენ.

ბავშვებზე მზრუნველი, ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობს.

ხალხი.

უყვართ ბელადი და ბელადს უყვარს ბავშვები.

ბავშვებზე მზრუნველ სტალინი, ბედნიერი ბავშვები.

მოსახლეობაში კეთილდღეობის განცდის

რეპრესიები საქართველოში
ნინო აბულაძე

ჩამოყალიბებას უწყობს ხელს პლაკატი?	გაჩენა.
თქვენი აზრით რას ემსახურება ეს პროპაგანდა?	ბელადისადმი ბრმა მორჩილებას, მონობას, ბედნიერი მომავლის იმედს..

პლაკატი N2 „სტალინი - ადამიანთა ბედის გამგებელი“	
კითხვები	სავარაუდო პასუხი
რომელ ქვეყანაში და როდის შეიქმნა პლაკატი?	სსრკ-ში ვერ შეიქმნებოდა; ამერიკაში; ევროპაში, იქ სადაც სოციალიზმი არ იყო.
როგორ აფასებს პლაკატი სტალინს?	მჩაგვრელს, კაცთმოძულეს.
ვინ არის პლაკატის აუდიტორია?	ის, ვისაც სურდა რეალობის დანახვა, დასავლეთში მცხოვრები ხალხი.
რა მიზანს ემსახურება პლაკატი?	ეჩვენებინათ ბელადის ნამდვილი სახე.
რა ხერხებს იყენებს ავტორი მიზნის მისაღწევად?	ბელადი თავად მართავს პროლეტარიატს, რომელიც შებმული ჰყავს მარხილში.
როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს პლაკატი?	მოუწოდებს ადამიანებს, არ დაემორჩილონ ბელადს; ადამიანი არ უნდა იყოს მონა.
თქვენი აზრით, რას ემსახურება ეს პროპაგანდა?	სტალინი არ არის დემოკრატი და ხალხზე მზრუნველი ლიდერი, ის ადამიანებს ჩაგრავს.

პასუხების მოსმენის შემდეგ (აქტ.3 10 წთ) მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს დავით კაკაბაძის სურათს.



მასწავლებელი
აკეთებს მცირე
შესავალს,
სთხოვს, კარგად
დააკვირდნენ
სურათს და
გამოხატონ საკუთარი
მოსაზრება, რას
ხედავენ ნახატზე და
რისი გადმოცემა
სურდა დავით
კაკაბაძეს ამ ნახატის
საშუალებით.

კითხვა-პასუხის რეჟიმი

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რა ჩანს მთავარ ფონზე?	იმერეთის პეიზაჟი, დემონსტრაცია ;
თქვენი აზრით, რატომ გაჩნდა აქ დემონსტრაციის სიუჟეტი - მხატვრის სურვილით, თუ იძულებით?!	იმდენად ზედმეტია დემონსტრაცია ნახატზე, ვფიქრობ, რადგან აიძულა მხატვარი, ეს მიეხატა.
თქვენ ხედავთ დავით კაკაბაძის მოგვიანებით „ჩასწორებულ“ ვარიანტს, სადაც გამოსახულია მხოლოდ ერთი ბელადის - ლენინის სურათი. თქვენი აზრით, პირველ ვარიანტში ლენინის გარდა იქნებოდა თუ არა სხვა ბელადის სურათი?	სურათი შექმნილი არის 1942 წელს , ბელადი იყო სტალინი, ლენინის გვერდით აუცილებლად უნდა ყოფილიყო სტალინი.

პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, რამდენად ახდენს პიროვნულ თავისუფლებაზე გავლენას ბელადის კულტი?

მოსწავლეები მსჯელობენ იმის შესახებ, რომ ბელადი ქვეყანაში არის „გაკერპებული“, მის ნათქვამს ყველა იჯერებს და ის ხალხის ერთგვარი წინამძღოლია.

ამის შემდეგ (აქტ.4.10 წთ) მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ განვლილი მასალიდან ის ცნობილი ადამიანები, რომლებიც „დიდი ტერორის მსხვერპლი“ გახდნენ.

მოსწავლეებში ჩამოთვლიან - მაგ. მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციანი, ევგენი მიქელაძე და ა.შ ;

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, იფიქრონ, რატომ „მოიშორა“ თავიდან ეს ადამიანები საბჭოთა რეჟიმმა რეპრესიების დროს. მოსწავლეები ხვდებიან, რომ ისინი უსამართლობის მსხვერპლნი არიან, მაგრამ უჭირთ დასაბუთება. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ გაიაზრონ ეს პერიოდი, მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს ნაწყვეტს (40:00-იდან 44:00წთ-მდე) კინოფილმიდან, [„ვალსი პეჩორადან“](#)²

ვიდეოს შინაარსი

რეპრესირება ახალ სოციალურ კლასთა მხარდაჭერითა და უშაულო მონაწილეობით მიმდინარეობდა. ქვეყანაში დაიწყო „ხალხის მტრების“ ძიება, ხელისუფლება მოსახლეობისაგან მოითხოვდა მხარდაჭერას; ვიდეოში გადმოცემულია, როგორ „მოდღვრავს„ ამ იდეოლოგიის ერთ-ერთი გამტარებელი რეპრესირებული ოჯახის წევრს, რატომ უნდა დაემორჩილოს ბელადის ერთპიროვნულ ძალაუფლებას - ასწავლის მოჩილებას, რადგან ურჩობა არ არის მომგებიანი. ბავშვმა უნდა იცოდეს, რომ ბელადს უნდა დაემორჩილოს, ეჭვი არ უნდა გაივლოს გულში, თორემ დასასრული ფატალური იქნება. ბელადის უსიტყვო მორჩილება კი ბედნიერი ცხოვრების საწინდარია. უნდა შეთხზა, დაწერო, დახატო, იმუშაო ბელადის სასარგებლოდ. როდესაც გოგონა რუსთაველის ლექსის თქმას დაიწყებს, იდეოლოგი აჩერებს და შემდეგ ერთად აგრძელებენ სიმღერას ბელადზე.

მასწავლებელი სთხოვს, კვლავ დაფიქრდნენ მოსწავლეები - რატომ ხდებოდნენ ადამიანები რეპრესიის მსხვერპლი, რატომ აპატიმრებენ ამ ადამიანებს, რას უქმნიან ეს ადამიანები რეალურ საშიშროებას?!

² <https://www.youtube.com/watch?v=arLPZhN3Si4>

რეპრესიები საქართველოში

ნინო აბულაძე

მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად (**აქტ.2; 5 წთ**) - მომხრეები და მოწინააღმდეგეები - და მუშაობენ ერთად, რათა მოიფიქრონ ის არგუმენტები, რომელიც მათ მოსაზრებას დაადასტურებს.

სავარაუდო პასუხები

მომხრე: ჩანაწერის მიხედვით ბრალდებულები არიან მოღალატეები და ქვეყნის კეთილდღეობას უქმნიან საფთხეს.

მოწინააღმდეგე - ეს ამბავი შეთხზულია განაჩენის გამომტანთა მიერ; ემსახურება დიდი შიშის გაჩენას.

ორივე ჯგუფის ცდილობს საკუთარი მოსაზრების დაცვას, მასწავლებელი მოკლე ინფორმაციას აწვდის მოსწავლეებს.

მასწავლებლის მინილექცია:

სტალინის ბრძანებით პოლიტიკურ ტერორს ახორციელებდა ჩეკა, საბჭოთა მოქალაქეს ჩეკა ბრალს დებდა საბოტაჟში, სამშობლოს ღალატში, ჯამუშოებაში და წამებით აიძულებდა, ეღიარებინა დანაშაული. განაჩენი გამოჰქონდა ე.წ „ტროიკას“ , უსჯიდნენ დახვრეტას ან გულაგში გადასახლებას 5-დან 25 წლამდე. ვიდეოში გადმოცემულია რეალურ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ცნობილი ქართველი რეჟისორის, სანდრო ახმეტელის დაპატიმრებისა და გასამართლების სურათი.

იმისათვის, რომ მოსწავლეებმა უკეთ შეძლონ გაანალიზება, მასწავლებელი აჩვენებს ვიდეორესურსს ([1937წელი. მე-6 სერია](#)⁴ - 7:35 წთ -იდან 17 :00 წთ-მდე)

ვიდეოს შინაარსი

ვიდეოში გადმოცემულია რეალურ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ცნობილი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის დაპატიმრებისა და გასამართლების სურათი. თეატრის ხელმძღვანელის დაპატიმრებით იწყება ინტელიგენციის ფართო მასების დაპატიმრება; აღწერილია პიროვნული კონფლიქტი ბერიასთან. რეჟისორი ბერიას არ ემორჩილებოდა, სანდრო ახმეტელი წარადგინეს ბელადის წინაშე, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი.

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვას: თქვენ გაეცანით ერთი ოჯახის ტრაგედიას, რომელიც წარმოდგენილი იყო სტალინურ სიებში. თქვენი აზრით, საჭირო არის თუ არა ყველას ხელმისაწვდომობა მსგავს ინფორმაციებზე? უნდა ვიცოდეთ თუ არა დიდი ტერორის მსხვერპლთა ისტორიები და რას მოგვცემს ჩვენ ეს ცოდნა?

მოსწავლეები საუბრობენ, რომ შეუძლიათ ვებ-გვერდების, პლაკატების და ვიდეორესურსების საშუალებით უკეთესად შეფასონ ის მოვლენები, რაც ხდებოდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. მოსწავლეები ასაბუთებენ, რომ ნებისმიერი დოკუმენტის შესწავლისათვის აუცილებელია გაეცნონ სხვადასხვა ისტორიას, შეძლონ ინფორმაციის გაფილტვრა და რეალობის დანახვა, „ერთი წაკითხვით“ მიღებული შთაბეჭდილება უნდა გადამოწმდეს და ისე დაიწეროს რეალური ისტორია.

დავალება: მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაეცნონ ვიდეორესურსს [„დიდი ტერორი-ადამიანური ისტორიები“](#)⁵ და ესეს : „იდეოლოგიური რეპრესიები“.

⁴ <https://www.youtube.com/watch?v=hby0nFntqCY>

⁵ <https://www.youtube.com/watch?v=9l-CcUuLeXU>

შეფასება

განმსაზღვრელი შეფასება - (10 ქულიანი)

პირობასთან შესაბამისობა	
იცავს დროის ლიმიტს	0 - 1
იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (მოსაზრება, არგუმენტები, დასკვნა)	0 - 0,5 - 1
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	
გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანამიმდევრულად ავითარებს მას	0 - 1- 2
მოჰყავს ადეკვატური არგუმენტები და მაგალითები	0 - 1- 2
გამოაქვს ადეკვატური დასკვნა	0 - 1
ვიზუალური მასალის ადეკვატური აღქმისა და კრიტიკული ანალიზის უნარი	
კარიკატურა	0,5
ნახატი	0,5
ვიდეორესურსი	0 - 1
შემოქმედებითი უნარები	
აქვს საინტერესო მოსაზრებები, მოჰყავს ორიგინალური არგუმენტები, მაგალითები	0 - 1
ქულათა მაქსიმალური რაოდენობაა 10 (ქულები მრგვალდება მთელის სიზუსტით)	

რეპრესიები საქართველოში
ნინო აბულაძე
განმავითარებელი შეფასება

განმავითარებელი შეფასების დროს მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, რამდენად დამოუკიდებლად და სწორად განსაზღვრავს მოსწავლე მნიშვნელოვან თემას, პრობლემას, საკითხს.

- ყოველთვის აგებს/განავრცობს მათ სხვა მოსაზრებებზე დაყრდნობით.
- ყოველთვის პატივს სცემს სხვის აზრებს და იზიარებს მათ.
- საუბარში მკაფიოდ და ნათლად აყალიბებს მოსაზრებებს.
- ფოკუსირებულია სამუშაოს შესრულებაზე, სწორად ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს.
- ეფექტურად იყენებს მონაცემებს ვიზუალური მასალიდან.
- დისკუსიის დროს მის არგუმენტებში ჩანს მტკიცება, მტკიცებულება და საფუძველი.

გამოყენებული მულტიმედია რესურსების ბმულები

<https://www.youtube.com/watch?v=arLPZhN3Si4>

<https://www.youtube.com/watch?v=hby0nFntqcY>

<https://www.youtube.com/watch?v=9I-CcUuLeXU>

<http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=list&d=26&t=dict&w1=%E1%83%90>